

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дრობა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლი-სა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სა-მისთვის—3 მ., ერთისთვის—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

შანი განცხადებისა: ღირსი ასო-

ვით ასოზე 1 კაპ., ნაგულისხმის ცი-ცეროთი—5 კაპ., წაჭრით—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გა-სწოროს და შეამოკლოს დასაბუღად გამოგზავნილ სტატიებს. დასტურ-დი სტატიები პეტროს არ დაუბრუნ-დება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

„ფეხდები ნომერი „დროებისა“ დღესასწაულის გამო გამოვა სამ-შაბათს, 28 აპრილს.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადო-ვის) ქუჩაზე მ. შადინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-რესიფ უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тиф-ლისъ. ВЪ редакцію газ. „Дრობა“.

შანი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე, გაგ-ზავნილ—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პერლინი, 22 აგვისტოს. (4 სექტემ-ბერს). დღეს დღით, 7 საათზედ, იპვე-რატორი შალაქში მსვლილებით გაემ-გზავრა აღმოსავლეთში ხელმწიფე იპვერატორის სანახავად.

მენა, 21 აგვისტოს. (4 სექტემბერს). ჩერნოგორიის თავადი ნიკოლოზი დღეს აქ მოვიდა.

კატარაშვილი, 21 აგვისტოს. *Journal de St.-Petersbourg*-ში სწერენ, რომ ღენერალი ტერ-ლუკასოვი დანიშნულია გარდაცვალებულის წახარების მაგივრად.

კატარაშვილის ბიძა, 21 აგვისტოს.

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბეღეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	95—
მეორე — — —	93—37
მესამე — — —	93—50
მეოთხე — — —	93—37
აღმოსავლეთის პირ.	92—
აღმოსავლეთის მეორე	91—87
აღმოსავლეთის მესამე	—
ოქრო, 1/2 იპვერიალი	7—86

თიფლ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —
შინაგანი 5% სესხის ბილითები

	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	233—
მეორე სესხის — —	233—
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — —	25—12 პენსი
ბამბურდი — —	127—25 ცენტი
პარიჟი — — —	214—25 სანტიმი
ვენა — — —	264—25 ჰფენიგი
ბაქო-სის კერასინი — — —	— — —

საქართველო

დღიური

* * * „თბილისის მოამბეში“ აცხადებენ, რომ ამ წლის 3 მსკინისთვისად სახაფ-ხულო თეატრში დაიწყება წარმოდგენები სომხის სამუდამო ტრუპისაგან, რომელ-შიაც მონაწილეობას მიიღებენ სტამბო-ლიდან ახლად მოყვანილი არტისტები. ტრუპას შეადგენს 19 პირი: 5 ქალი და დანარჩენი ვაჟები.

როგორც ამბობენ, ამთ ყოველ თვე-ში ხუთ-ხუთი წარმოდგენა ექმნებათ.

ამ დროს (უფრო ადრეც: 1 მსკინისთვისადამ?) ჩვენი ქართული ტრუპაც შეუდგება თავის მოქმედებას; მაგრამ ჯერ საჭიროდ არ რაცხს ეს ტრუპა გამოაცხადოს, რას და როგორ აპირებენ, ვინ არიან, და რაღაა, რა აკეთეს აი მოგზავრობაში (იტყვიან: „რა ვაქე-თეთ და წარმოდგენები გექონდა აქა-იქაო!“ ამარა), რა ეჭივრებათ და რა იმედები აქვსთ და სხვა?!

ჯერ ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ხუთი-ექვსი პირი შეკრებილან, რამდენ-ჯერმე წარმოდგენები ჰქონათ და 1 მსკინისთვისად წარმოდგენას აპირებენ“!

* * * ამვე გაზეთში ვკითხულობთ ერთ საყურადღებო ამბავს, რომელსაც საჭი-როდ ეხებადეთ ვაღმომებეტლათ ჩვენს გა-ზეთში:

„გაზეთ „მოლვას“ სიტყვით, აღმინს-ტრაციას წარედგინა განსახილველად შუა-მავლობა ნება-ღართვისათვის, რომ დააარსონ საზოგადო სადგომები იმ სა-ხელმწიფო გიმნაზიებისა და პროგიმნა-ზიების მაგარდებისათვის, რომელთ მშობლები სხვა ქალაქებში ცხოვრობენ. აიგვარი სადგომების გაშენებით სახეში

აქვსთ მოსპონ ის სიძნელე და გაჭირება რომლებსაც ითმენენ კარძო სადგომებში მყოფი მოსწავლეები

ამ საზოგადო სადგომებში ყურის მგდებლეთ მოსწავლეებს ეყოლებათ ზედამხედველი, ურომლოთაც ახლა კერძო სადგომებში მოსწავლეები ხშირად ცუდ და მავნებელ გავლენის ქვეშ იმ-ყოფებიან.

როგორც ვიცით, — უმეტეს „თბი-ლისის მოამბე“ „ყოველ წლებით აგ-ვისტოლამდე იწყებენ თბილისში მოგ-როებას სხვა და სხვა სასწავლებლების მოსწავლენი, რომელნიც განსაკუთრებით ღარიბები უქონლობისა და სიძვირის გა-მო სადგომებისა ხშირად 4—5 და მე-ტიც გროვებიან უბრალო ქუჩებში და ნოტიო ოთახში სადმე ქალაქის ბოლო-ში. თუ როგორი ცუდი გავლენა აქვს ამგვარ ცხოვრებას მოსწავლეების ჯან-მრთელობაზედ და გონებით და ზნეო-ბით განსაზღვდ, ეს ყველამ ვიცით. აქ გვარ ყმაწვილებს ხშირად, თავის უფალ-ღროს, შინაური მოსამსახურის თანამდ-ეობასაც ასრულებინებენ: ფეხსაცმელებს აწმენდინებენ, ოთახ აგვეინებენ, სამო-ვარს აღდმეინებენ, ბაზარში სხვა და სხვა რამეებისთვის არბეინებენ და სხვ.

და აი ამხედ და ამისთანა რამეზედ უნდა მიაქციოს ყურადღება ზოგიერთმა ჩვენმა ლმობიერმა, ყრმათა ზედა მფარ-ველობის საზოგადოების დამარსებლებ-მა, როგორც უფ. პეტროვმა და კომპ. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ქვეყნის მზრუნველობას ჰფიქრობენო! აი ყმაწ-ვილები, რომლებიც საჭიროებენ დაზ-მარებას, ყურის გდებას და მზრუნვე-ლობას!“

„დროების“ კორექსიონისა

მიზიუილამ, 22 აგვისტოს. ჩვენი ხალო-ნი, ე. ი. ქართველობა არისტოკრატიუ-ლი მიღრეკილებისა; იმას თავათვე ეთა-კილებორა დუქანში ჯდომა, ამის გამო-ვაჭრობა და სხ. მის გვარი საქმეებში ეჯავრებოდა და ეთაკილებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ მთელი მაზრის ვაჭრობა ჩაყარნილი აქვს ხელში ერთ ხალხოს-ნობას. ვაჭრობა მის გვარი სამოქმედო-რომ, ნამეტნავთ ჩვენ ში, მოვაჭრეები ცდილობენ ცოტადენი თავნით უმე-ტესი სარგებელი იშოვონ; იან ფასიანი საქონელი ძვირ ფასონებით გაასაღონ. ამ გვარად ისინი, ვინც ვაჭრობიან სა-

ქონლის ასაღებად მიდიან, ძრიელ შევიწროებაში ჩააკდეს აქაურმა მოვაჭრეებმა აღრვევ.

აბალი ხალხი ამ შევიწროებას ვერა გრძობდა, რადგან მისთვის არ ეცალა, როდესაც მარჯვენა ხელი ხმალზე ეჭიდა და მარცხენა დამბახზე. მაგრამ განათლებულ და შემძლე პირებს ამ გვარი ბოროტ-მოქმედება აქაური ვაჭრებისა მალე შეუმჩნევიათ და მასავე ჟამს, რამწამს ომიანობის ალიაქოთი გაათავეს და შიხიყის ხალხი დაადგა ჩვეულებრივ მიწის შემუშავებას, მაშინ ვისაც შეეძლო, ეცადა, რითმე გამოეხსნა ეს მიწის შრომელი ხალხი ამგვარ შევიწროებებიდან: ისინი თვალ-და-თვალ ხელადგინდნენ, რომ მიწის პროდუქტები, ნაწარმოები მასრის მცხოვრებლებისა ვაჭრების ხელში ფასში ძრიელ ეცემიან და მით მარტო ვაჭრები სარგებლობს და უმეტესობა კი ღარიბდება. მართლაც და უფლის გლენკაცობას რაც რამე გამოსავალი მიწისა ჰქონდა, თავის სხვა გვარი საქაროების დასაკმაყოფილებლათ, იძულებულნი იყვნენ გაეყიდნათ სიღნაღურ ვაჭრებზე, რადგან სხვა გზა გასაღებისა არც სადმე ჰქონდათ და არც იცოდნენ.

სიღნაღური ვაჭრებიც ისე იღებდნენ გლენ-კაცობის გამო ნამუშავეარს, როგორც ნებადართ, —რის გამოც იგინი, ვაჭრები მდიდრდებოდნენ და გლენკაცობა კი ღარიბდებოდა.

როდესაც ლუბერნატორათ დაუნიშნავთ თ. ანდრონიკოვი, ივან მალხაზიჩი, იმას შეუმცნევია ეს უწყობა და გაიძ-

ვერობა სიღნაღურ ვაჭრებისა და ამისათვის მოუსურვებია, რომ უფლის ხალხმა. (მიზიყელებმა) ვაჭრობას ხელი მიჰყონ და მით მთელი უფლი დაიხსნან სიღნაღურ ვაჭრების ბატონობიდან. ამის ფიქრით რჩევა მიუცია ნუკრიანის, მალაროს და ზოტორის ხალხისთვის, რომ სიღნაღს მიწერებულყვენ, იმ პირობით, რომ სასოფლო საქმისათვის თავი დაენებებინათ და ვაჭრობა დაეწყეთ და გასამხნეებლათ მიუნიჭებია ნათთვის პრივილეგია, —ათ წლამდის უსაყვედუროთ თავიანთ მამულების ხმაურება. ხალხი თავის ლუბერნატორის რჩევას დაჰყოლია და გამოუქხადებიათ ამ გვარი სურვილი. მ. სოფლები დაუპლანავათ, ნუკრიანში დასახლებულან საქალაქო წესით, აქ ერთი მთავადიშვილიც გადმოსახლებულა. მასუდა დრო და ჟამი; მიწერილ ხალხს უცხოვრია თავის მამულებში, არც ვაჭრობა უწყეა და არც სოფლოური ცხოვრება მოუშლია. შექტესობა კი დღი-დღიურ მუშაობას მიჰყოლია.

სიღნაღლებს მაინც უსარგებლნიათ ამ ხალხის მიწერით: თითონ ბატონის ალაგი დაუჭერიათ და ამ მიწერილ ხალხისთვის ლაქაობა ჩაუბარებიათ: თუ რამე საბეგრე მოუნდებოდა სიღნაღს: ან შეშა, ან ურემი, ან ცხენები—მაშინათვე ამ ახლად მიწერილობისაკენ გამგზავრდნენ და ეხლაც ისე სხადიან. ცალკე—ხელა პირთ ეს გაიძვრაობა სიღნაღლებისა ვერ შეუტყვიათ, შეუმცნევიათ მარტო ცხენისა და ძროხის პატრონებს და მისთვის მოულაპარაკ-

ნიათ, რომ ესთხოვოთ, მთავრებასა, რათა ჩვენ ისევ ისე სასოფლო ხალხში ჩაგვწერონო. ამაზე მთავრობა დათანხმებულა და მოუხდენია მეორე გამოძიება. ამ გამოძიებაზე დასწრებია უქეტესობა „მეჯორეებისა“. (მეჯორეებს აქ უწოდებენ იმ მარტო ხალხსა, რომელთაც მარტო ერთი ჯორი ჰყავთ. მზადებიან იგინი არტელით შეშასა, ქვიშას, კრამიტს, ავურსა და სხ. სიღნაღში უდგებიან სიღნაღლებსავე შევირებათ და ისე ცხოვრობენ). ამ უმეტესობას უარი გამოუტყხადებია და გამოუტყვამს სურვილი, რომ მოქალაქეთ დარჩებიან.

ამ ნაირათ ნუკრიანი, ნახევარი მალარო და ზოტორი მიეწერა საღნაღს. სიღნაღლებისათვის ძრიელ სასიამოვნოა ხელქვეითები იშოვეს, მაგრამ თითონ ეს ხელქვეითები რომ არ დაფიქრებულან ამ წინაუხედავ ქცევაზე—ამას ლაპარაკი აღარ უნდა!

ამათ იმისი სიხარბით მოუვიდათ ამ გვარა წინდაუხედაობა, რომ იფიქრეს, ვითომც მამულებიც ხელში გვეჭარება და ხარჯიც ნაკლები გვექნებაო. ის კი არ იცინა, რომ მათი მოაზრება სულ უკულმა საქქეს გაჩვენებს: მამულები ხომ ჩამოართვეს, და ამ მამულების ჩამოართმევას ის მოსდევს, რომ ქირათ მიეცემა იმას, ვისაც მომეტებული ფული აქვს. მე ვამბობ მინდვრის მამულებზე—სახნავ—სათეს და საძოვარ მამულებზე: ეს მამულები გამოეცალათ ხელიდგან. რასაკვირველია სიღნაღლები საცოდავ ზოტორ — ნუკრიანელებზე

ფელტონი

ახალსიხილვან.

შხედავდი, რომ მრავალნი პირნი, მამანი და დედანი თვალთაგან დვაბ-ღვაბად ცხარე ტრემლს ადენდნენ თავიანთ წინა-პართ წაიწყებულ და წამიწებულ სამარს. ამათში ერივნენ სხვა-და-სხვა სოფლებითგან მოსულნი მესხ-მაჰმადიანები. მსენი რომ ხედავდნენ თავიანთ მოძმე ქრისტიანთ ამგვარ მგლოვარე ყოფა-ქცევას, თითონაც გული უჯდებოდათ, მწუხარენი თვალს თვალში უყრიდნენ და ეუბნებოდნენ გულითგან გულში: ჰა, რა ცრცხლიც თქვენ გეკიდებათ და გწვამსთ გულსა, ძმანო, ისივე ცრცხლი ჩვენც გვინთია გაუქრობლად სულში! მართი ვართ ჭირში და ღმრთის შიკა, როგორც დღემდის, ეგრედ ამის წადმართ უკუნისამდე ვიქმნებით!.. წირვა დასრულდა. მრავალთ სანუგეშოდ მიცვალბებულებს პარაკლისი გარდაახდენინეს. მათ მალეღ მაჰმადიანს ვკითხე: რისთვის მოსულხარ, ძმარ? და მომიგო; „მეირამ ანასთვის სანთლები მქონდა დასრულდა და დაუნთეო“!

მამ მორდი და ნუ იტყვი: „წყალი თავის ძველ ნაკლებს არ დააგდებსო“,

ანუ „კელითგან გადმოვარდნილი კუთხიანი ქვა, ისევ კედელზედ დაიდებაო.“

იყო შესაფერი ღმრთი, სიხარული, თამაშობა და კარგი დროებია გატარება.

მე ამ ეკკლესიის სამხრივ კარის ქუდზედ ზედ წარწერების გარდმოწერას შეუდექი, როგორც ამას წინათ „ღროებაში“ აღუთქვი პატიეცემულთ მკითხველთა. აი ასრე აწერია:

„სახელითა ღმრთისათა, მე მქრომან ბაბრუცას ძემან შევმოსწირე რკ. ბოტიანტი (120 ვერცხლი) და საფქველს ვად (საქველოდ) გაბეკეთოს საუკუნე აღაპი, პირველს დღესაწაულსა აღესებინა დღესა (აღდგომა დღესა); ვინც ეს გაგებული შეცვალოს, კრულმცა არა ღმრთის პირით, ქ. სახელითა ღმრთისათა შეწვენითა წმიდისა ღმრთის მშობლისათა, წმიდისა საბაოთა, მე იოანე სულ-კურთხეულო ლდვასა შევიღმან, დაუჭირველმან, სრულსა ცნობასა ზიდა მყოფმან მოვახსენე (შეესწირე) წმიდასა საბას პატრონს ცინის-ჯვარელს, მამული ჩემი დაუკლებელად, ცინითა, წყლითა, ეკკლესიის ტყით, ჭალით, სეფეთ-ყანით, ვენახით, წისქვილით, ყოვლისფრით; არავინ მაცილობელმან მამისა ჩემისანმან, რაცა დაეწერა მედად (საზღვრად) იმეჭკრავათ-ლებდე (საიჭოდ ხდიდეს) ზეთის თვისგან კიდე ზვარნი მიწანი არ დამაკლენ

პატრონმან მონასტრისამან მონაწილე-მან; ვინც მამული ჩემი წმიდა საბას დააკლოს, ჩემთამცა ბრალთა ზღვევს საბას ორგულებასა შიგან, სხვანი ამისნი მეტია, რაც დაწერილა (თუ სხვა რამე დაიწეროს) ყოველი მეტია, ზემო რომელი კართა ზედა დამიწერია, აღაპი გვიკეთოს საუკუნოდ, ვინც შეცვალოს, კრულმცა არს ღმრთის პირით. შეფლო ღმრთო, შეიწირენ კარნი ესე, ვითარცა მწვლილნი ქვრივისანი მწირისა ზიორგი მალისაგან, შეუწდენ ღმერთმან.“

ამას იქით სწერია: „სრულ იქნა საყდარი ესე საძირკველით ყოველითა ხელითა ფარელის ძისათა.“ მოკოლას ქვემოდ აწერია: „ფრთა“, თქმა არის ქარონიკონი ფარი ყოფილა; 12:0 წ. კვალად წაშლილ ამომტვრეულ ნაწერებში მოხსენებულია ბირკლადბექ მანდატურთ ხუკესი და მერმე სარქის სამცხის სპასალარი. სარგისი იყო რუსუდან დედოფლის ძის ღვით მეფის ჟამსა: „ღმეფე დავითმან აჩინა მხედართ მთავრად სარგის ჯაყელი, კაცი მხნე შემპართებელი და მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვან ქმნილი წყობათა შინა, ტანითა ახოვანი, ხელოვნად მბრძოლი ცხენსა ზედა, მხნე მოისარი, საჩინოდ ნადირთა უკოამლოდ მსრველი; და მისა მინდობილ იყო მეფე ღვით: რამეთუ ერთგულებაცა დიდი აქენდა მე-

შეიძლება არიან, ისინი აიღებენ იჯარით და იმათზედვე—ე. ი. მალაროელებზე, ნუკრიანელებზე და ჰოტორელებზე—გააქრავებენ. ამ გვარ განწყობილებას ის დასკვნა ექნება, რომ ძროხა და ცხვარი ამ სოფლებებისა სრულებით გათავდება და ხალხის სიმდიდრეც დაეცემა. ბარდა ამისა—ველარც ხენა—თესვას—ლა მიჰყვებიან, რადგან ქირის ძლიერად ვერ აუვლენ და ამ ხელობასაც თავს დაანებებენ. რადგან ქართველი კაცი სხვა გვარ საქმობისთვის მოჰზადებული არ არის და არც ებიტნაება რამე სხვა, ამ მიწერილ სოფლების მცხოვრებლები იძულებული ხდებიან უსაქმოთ ეთროვონ და უცადონ შარა-გზას გამვლელ და გამომვლელს.

მართლაც და საკვირველია: მთელი „შემსკაია სტრაჟა“, ჩაფრობა და იასაულობა—სულ ამ სოფლებიდან არის გამოსული. რასაკვირველია, ამით მომავალი არ აქვთ: შეჰყურებენ დღი-ღლიურ შემოსავალს, ეჩვევიან უსაქმობას, გაურჯელობას, გარყენილობას და დასაჯრებელი იქნება ვსთქვათ, რომ ადრე თუ გვიან ამ ახლად მიწერილ სოფლებთან მცხოვრებლები უნდა ისე გადაიკარგნენ, როგორც ძველებური რომაელები. ჩაფარი, რომელსაც თავის უფროსის ცხვირპირს ცქერაში თვალები აქვს დაჩხეტილი, უკან რბენაში მუხლები დაწყვეტილი, რომელიც მოგლის ყოველ ჟამს მუქათა კუჭის ავსებას; ყველას ჯიბეში შეჰყურებს, ერთ გაძლირებულ თავის სინიდის და კაცურ ღირსებას ჰყიდის,—ვერ მოგვეცემს მხნე და გამარჯვებულ ჩამომავ-

ლობას. მგრეთვე მევირეები არიან, იმ განსხვავებით, რომ მგონი ცოტათ—თუ ბევრათ შრომობენ მაინც, თუმცა მათი შრომა ვერ აკმაყოფილებს მის სახლს... მაშასადამე აქედანა სჩანს, რომ მამულების ჩამორთმევა მალარო—ნუკრიან—ჰოტორელებს უდროვით საფლავს უთხრის!

მეორე მათი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ვითომც ხარჯი ნაკლები ერთმეოდნეს. მსეც ტყუილია. მართალია ჩვენი ხალხი ყოველთვის მოჩივარია, ვითომც ძრეილ შეწუხებულები იყვნენ ხარჯისაგან, მაგრამ არც სიღნაღელებს აკლიათ. სახელმწიფო ფულის გადახდევინების გარდა, ბეგარას ძრეილ ერიდება ჩვენი ხალხი, ძრეილ ერიდება ჩაფარს და იასაულს. ია როდი იციან, რომ ხარჯი თუნდა გზირს გამოურთმევი, თუნდა სიღნაღურ სქელ დებუტატს. ბეგარა ეხლაცა აქვთ: შეშას ეხლაც სთხოვენ, გზებს ეხლაც აკეთებინებენ, ბეგარაზე ეხლაც ეძახიან! იმ განსხვავებით, რომ თუნდა მე წაესულვარ ბეგარაზე, თუნდა ჩემის ფულით კაცი დამიჭერია.

ბარდა ამისა, რატომ არ იციან, რომ ქალაქს უფრო მომეტებული ხარჯი უნდა, ვიდრე სოფლელ ხალხს; ქალაქს ბევრი რამე უჭირს, ურომლოთაც სოფელი გაუჭირებლივ გამოდგება. ქალაქს უნდა ფარანი, დაგვილი ქუჩები გასუფთავებული გზები, ქეით-დაფენილი; იმას ეჭირება კარგი პოლიცია და სხ. მსენი სულ ქალაქს აწევს ხარჯათ. მაშასადამე, სოფლელ ხალხს ჩვენ ნუქ-

რიანელ—ჰოტორელებზე ნაკლები ხარჯი არ ექნებათ!

სხვა რა არაფერი... (ტარქიმ) ისევე იფიქრეს ამ უბედურებმა, რომ რაც რამ პაწა ფანატურები უბჯენიათ თავის შესაფრათ, სულ სიღნაღელებს დარჩებათ. სიღნაღელი გაუხდება ნათლია-მამათ, ასესხებს ორ თუშანს, აქვევს ოც თუშანზე და გამოიყვანს ცარეელს, თუ რამე აბადია: გაუყიდის ქათამს, ძაღლს, საქონელს, ვენახს, მამულს, სახლს, ჭერს, ტანისამოსს: ქამარს, ჩონას, ცალის კაბას და სხ. მაგრამ სოფლის ხალხს კი ამას ვერ უზმენ კანონით.

მართი სიტყვით, თუ ამით არაფერი არ ეყურებათ და „მევირეები“ და ჩაფრები ვერას შეისვენენ, ჩვენის აზრით, ძრეილ სასარგებლო იქნებოდა, განთავისუფლონ მარტო ისინი, ვინცა სთხოვა ქალაქში ჩაწერა არ მსურსო!

მალაროელი.

განცხადებანი

საქმავილო ბალი

და
ელემენტარული შკოლა.

სოლოლაქზედ, მელიამინოვის ქუჩაზედ, თ. ამატუნის სახლებში.

ფისა... ამათვე ჟამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთა უხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა, რომელნი მთავრობდნენ სამცხესა. ხოლო საქმენი სარგისისანი ზემო ალგვიწერიან და აწ ვახსენოთ ძე მისი ბექა. ხოლო იყო ესე ბექა ტანითა ახოვან, ფერთა ჰაეროვან, თმითა, თვალთ გრემა და შეენიერ ბექ-მკერდითა სრულ და ძალითა ძლიერ, ომსა შინა მხნედ მბრძოლ, ცხენსა ზედა მხნედ მოისარი, ნადირთა მსერელ ხელოვანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქვეყანათა, ეკკლესიათა და მონასტერთა, ღვთის მოსავეთა კაცთა პატივმცემელ, მლორავი, რომელ არა დააკლდის ცისკრის ლოცვათა სამხრად და მწუხრად, ვითარ ტიბიკონი მოსცემდა წესსა ლოცვისასა. ამისთვის პატივი სცა ღმერთმან და მეუღლესა შემსგავსებული მოანიჭა, ლოცვისა, მარხვისა და გლახაკთ მოწყალეებისა, მონასტერთა და ხატთა პატივის მოყვარე, ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი. მაშინ ბაქამან დაიპყრა ქვეყანა ტაისის კარნითგან პარნუ ქალაქამდის, სამხრე, აჭარა, შავშეთი, ძლარჯეთი, და უმრავლესი ტაო, შაშლოვანი, ნიგალის ხევი, არტანუჯი, ათ-თორმეტნი უდაბნონი, ძოლა, პარნიფორა; ორნივე არტანნი და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს.“
მართლის ცხოვრების 390, 412, 413.

მგრეთვე სარგის ჯაყელი იხსენება ხართლის ცხოვრებაში სინის ჯვარელად. სოლო თანწარჰყევა (მეფე ღვთისა) ნარგის სინის—ჯვარელი, ჯაყელი დიდად ნამსახური, რომელმან ჰქმნა ესეცა სათმოებანი, რამეთუ მბილისს ყოფნასა მეფისასა მოვიდა ელჩი ყანისა, ვითარმედ მეფესა მოვიდობ, ხოლო პაპა სარგისს არ მივიდობ, და არა სათნო უქნდა ბრძანებაესე სარგისს და ეტყოდა მეფე გარე უკუნ ქცევასა, ხოლო იგი არა ერჩიდა... არამედ მოთუშკლან, ხაცვლად თქვედა ვიყო და თუ დივრჩე თქვენთანა დაერჩე. ღაიმადლა ესე მეფემან ეგზომ, რომელ ქვაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა შავშეთის სამამულოდ უბოძა სიგლითა.“ 395.

ბარდა შენობაზედ ყოფლა ერთიანი ზედ წარწერებისა, რამ ეფნემ ადგილს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზედ წარწერები სჩანს თუ დიდ საყდარზედ და თუ ეკვტერებზედ, რომ სიტყვა არ იკრება, რადგან მტერთ ბევრჯერ დაურღვევიან და მისი მიმდგვი წარწერილი ქვები უკეთების დროს ვეღარ უბოვნებან. ნამტერევი ქვები მრავალი მოიძევა ზედ წარწერილი, რომლებზედ ერთი ლექსი თუ იკითხება, მეორე აღარ გამოდის. ამისთანა დიდი ეკკლესიის დარღვეულ ტრაპეზში ჩაუტანებიათ წმიდა მარინეს ძეგლი, ერთ მხარეს ლომი მივარდნია და ნაწერიცა

აქვს მეორე მხარე კი აკლია, მათ არც ნაწერი იკითხება.


იქმნება ჩემი ეს და ამისთანა ჩამოდგომილი გამოწერილივანი პატივცემულ წამკითხველთ ნამეტურად და უსარგებლო დროების დაკარგვად აღმოუჩნდეს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ წინაპართაგან დატოვებული უკვდავი საუნჯე ამისთანა მონასტრებსა, ეკკლესიებსა და ციხე-კოშკებში არის დამარხული და ძველ ხელთ წერილ წიგნებში, რომელსაც მოგესტრით და გამოვსჩხრეკთ იმდენი უფრო გავმდიდრდებით მეცნიერებითა და სიმხნესა, ძალს შევიმოსავთ და შევმოსავთ ჩვენთ შთამამავალთა უღვეელობასა.

შინ იცის, რამდენი წერილი და ზედ წარწერანი ჩვენ მახლობლად მყოფ ძველ მენობაებზედ თვალებში შემოგვიჩივრია და ჩვენის დაუღვერობით ისინი უყურადღებოთ დაკვიტოებია და ცხრა მთის იქითურებს კი გულს მოდგინეთ ვათევალიერებთ: მისურვებ, რომ ამისთანა კეთილ სასარგებლო საქმეს მიჰქცეოდეს ჯეროვანი ყურადღება არა ერთ ორ ადვალსა, არამედ ყოველ მხარეს ჩვენის საზოგადოებისაგან...

(დასასრული)

მიწე მესხე.

15 აგვისტოს.



მიღება და ეკზამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიყვება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვები ორივე სქესისა, რომელნიც წლოვანებით 4-დამ 7 წლისანი იქნებიან, შკოლაში კი—7 წლიდან 14 წლამდე.

ამ შკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიანთ შევიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში.

(6—3)

მამოვიდა და ისყიდება „ქაჯახის წიგნის ვაჭრობაში“, უ. ბრიკუროვის წიგნის მალაზიაში პირველ დასაწყისი კურსი რუსული ენისა მართველ-ფათვის,

შედგენილი

ბ. ძალანდარიშვილის მიერ.

მეექვსე გამოცემა, გადასწორებული და დამატებული,

იაკობ ზოგებაშვილისაგან.

ფასი ათი შაური

შინც ერთად იყიდეს არა ნაკლებ ოცი ეგზემპლარისა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. შინც ორმოც-დაათზე მეტს იყიდეს—ეგზემპლარი მიეცემა ორ აბაზათ.

(6—2)

პართული წარის სასწავლი

დეღანი

(პროზისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელითაგან

მამოვიდა და ისყიდება შემდეგ აღვლებში:

თბილისს: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიკუროვის წიგნის მალაზიებში, მუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურაძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ქველიასთან შკოლაში,

მზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,

ხონში: უფ. შალაგანიძესთან, ბორს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მალაზიაში,

სიღნაღს: უფ. პ. ბალაშვილთან. ფასი ერთის ეგზემპლარისა აბაზი.

(5—2)

მამოვიდა და ისყიდება

სახალხო სამეცნიერო წიგნი

ქარაბაღინი

შედგენილი

მღ. დავით ლამბაშიძისაგან.

მამოცემა პირველი.

ფასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყლით ექვსი აბაზი.

წიგნის ყიდვა შეიძლება:

თფილისში — ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში.

მუთაისში — სომონ ტერეძის მალაზიაში

ახალ-სენჯაკში — ბლალოჩინს სასწავლითან.

ზუგდიდში — ბლალოჩინ მიხ. მეუნარეასთან.

ლექსუმში (ლაილასში) — ბლალოჩინი ილარიონ ბერსეძესთან; სახსერეში — შარვაშიძის წიგნებისა; — სასოფლო შკოლაში.

ბორში — პავლე ბურჯანაძესთან (სასულიერო სასწავლებელში).

შვირილაში — ბლალოჩინ დავით ლამბაშიძესთან.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ლამბაშიძისაგან (დ. შვირილიძემ), ამ აღრიცხით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. შინც ათ ეგზემპლარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები შიშვილსა და ნამძის ხეებისა კარების, ფანჯარებისა და იატაკებისათვის. სრულებით მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

შისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰქურს შეუძლიან მიმართოს პრენალის ქუჩაზე-შუღინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. მალერთან ჩქრუტი.

„ბუბიაოლა“

ვოდეგმოლი

აქაპი წამრეთლისა

ის შეიღება ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიკუროვის წიგნის მალაზიებში, აგრევე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტი-ტოში, ბუღეარზე.

რ. ბ. შ. ა.	დ. ბ. შ. ა.	ს. ბ. შ. ა.	II კ.	III კ.	ბელგრადში	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამეცნიერო
მთილისი	9 21	5 18	8 კაპ. 3.	კაპ. 3.	მ. ციცივა მთილისიდან		მთილისი 9 აგვისტ.		მთილისი 9 აგვისტ.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქაჯახის აქეთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 40	შვათმყოფებს მიიღებენ ყოველ
ბორი	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	შქვ. წითელი	1 70	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისციველი და
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდებსა, მოსკოვს,	2	შქვ. ფუთი	1 35	მარ. ლევიჩი — შინაგ. ავათმყოფობის.
სურამი	1 44		4 90	2 61	პეტერბურგს, მარაგა	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	8 40	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერმიშვილი შინაგ.
შვირილა	5 49		7 21	3 69	მსხალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფ. თა.	9 30	ავათმყოფ.; რიბი — თვალის, შურავ-
რონი	6 57		8 44	4 31	იტალიაში და სფრანგეთში	3 50	ბაგენტლი ბამბა ფუთი.	10 60	ლევი — ვენეროლის, და კანისა; ბა-
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	8 50	ბოვი — გულისა და შინაგ.
ახალ-სენჯაკი	8 43		10 71	5 47	ზოგად		— მრკამისა ფუთი	4 20	მ. თ. ხ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისციველი — ში-
ფოთი	9 50		11 24	6 26	ა) მთილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ		აბრეშუმ, ნუხური სტ.	2 10	ნაგ, ასტუა-ც. ტუროვი — ქალისა და
ფოთი	9 3				დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და		შონის ფუთი	6 20	ბავშვების ავათმყ.
ახალ-სენჯაკი	10 14		1 53	78	სუთშ. მზურ. — პარასკ. და ორშ. და		სტარინის სანთელი ფ.	7 50	ხუთ შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერმიშვილი — ში-
სამტრედია	11 5		2 61	1 33	ხუთს — სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-		სტარინის სანთელი ფ.	11 80	ნაგ. ავათმყ. და შურავლევი — კანის
რონი	12 13		3 84	1 97	ლიდამ: მფ. ლისისა და ფოთისაკენ —		სორტი მროხისა დიტრა		და ვენეროლის.
შვირილა	1 18	დამე.	5 3	2 56	ყოველ დღე კვირას გარდა. მზურ.		— ცხვრისა, ლიტრა		პარ. არ. ასკ. ვ. გ. ს. იქნებიან: წისცი-
სურამი	5 12		110 734	3 74	გეთს — ორშ. და პარასკ.		სპირტი ვედრო	4 50	ველი, შინაგ.; ასტუა-ც. ტუროვი — ვე-
ხაშური	5 39		1 37 7 51	3 84	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	შაქარა ბროც. ფუთ.	7 10	ნერ. და კანის; ბამბავეი — გულისა და
ბორი	7 5		4 8 9 24	4 73	და სამზღვარ გარეთ.		— ფენილა ფუთი	5 70	შინაგ. ავათმყოფ.
მცხეთა	8 50		6 59 11 39	5 82	ლა წიგნის	3	შავა რევალი გრვ.	65	შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერმიშვილი, შინაგ.; შურ-
მთილისი	9 31		7 6 12 24	6 26	და ჰედლეს (სამი მსხ. ღი)	7	შეთი ქუთჯუთისა ფუთი.	15 80	ველევი. — ვენერ. და კანის რიბი —
							თანბ ქა. საშუალო ფ.	6 80	თვალის